# ძველი ჩემპიონები - აუტსაიდერთა როლში

მოსკოვი. ”დინამოს” სტადიონი. 1 ნოემბერი.

”დინამო” (მოსკოვი) – ”დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

მოსკოვი: უვაროვი, ხაპსალისი, ნოვიკოვი, ნიკულინი, გოლოვნია, მენტიუკოვი, ლატიში, მინაევი, ბოროდიუკი, კაპუსტინი (მატიუნინი), კარატაევი.

თბილისი: აბუსერიძე, ჯოხაძე, ჩივაძე, უკლება, ჩიქოვანი, კაკილაშვილი (ჩქარეული), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა (გურული), ჟვანია.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გააფრთხილეს გოლოვნია.

დუბლიორები - 0:3. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს გოგრიჭიანმა (2) და მიქაბერიძემ.

მოხდა ისე, რომ სსრ კავშირის ორი საუკეთესო გუნდი, წარსულში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები და თასის მფლობელები, საბჭოთა ფეხბურთის აღიარებული ლიდერები - მოსკოვისა და თბილისის დინამოელები 1983 წლის საკავშირო ჩემპიონატის ფინიშზე ერთმანეთთან შეხვედრაში არკვევენ იმას თუ ვინ უნდა გავიდეს... მე-15 ადგილზე. სამწუხარო სიტუაციაა: წარსული წლების ამ ორმა აღიარებულმა ფავორიტმა 46-ე ჩემპიონატში, როგორც იქნა, წარმატებით გადაჭრა უმაღლეს ლიგაში დარჩენის ძნელი პრობლემა და ახლა ერთმანეთთან აქვთ ქიშპობა, რომ იქნებ ერთი საფეხურით გადაინაცვლონ წინ. ეტყობა, ფეხბურთში ხდება ასეთი საოცარი მოვლენები, გაიხსენეთ თუნდაც ის, რომ თვით მოსკოვის ”სპარტაკსაც” კი 1977 წელს I ლიგაში მოუწია თამაშმა.

ტრადიციულ მეტოქეთა ეს შეხვედრა, როგორც ყოველთვის, გარკვეული დაძაბულობით გამოირჩეოდა, მაგრამ თვით თამაშის კლასი, მისი დონე აშკარად არ შეესაბამებოდა დინამოელთა ძველ ავტორიტეტს. აშკარა იყო ორივე გუნდის ტაქტიკური სიღარიბე, ერთფეროვნება, ხშირი ტექნიკური წუნი, კარში უზუსტო დარტყმები...

ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა პირველ ტაიმში. ბურთი უმეტესად შუა მინდორში ტრიალებდა, შემდეგ შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ ვერც ჟვანიამ და ვერც ლატიშმა ვერ შეძლეს მათი გამოყენება.

შესვენების შემდეგ თამაში შესამჩნევად გამოცოცხლდა. 66-ე წუთზე უმეთვალყურეოდ დატოვებულმა ლატიშმა მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა ცენტრში და ბოროდიუკმა საკმაოდ შორი მანძილიდან ბურთი დაბალ კუთხეში გაგზავნა - 1:0.

მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს სტუმრებმა უპირატესობის ხელში აღება. რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდათ ჩქარეულს, სულაქველიძეს, ჩივაძეს, მაგრამ საპასუხო ბურთის გატანა ვერ მოხერხდა, კარგად ითამაშა მეკარე უვაროვმაც, მინიმალური ანგარიში მოსკოველთა სასარგებლოდ ბოლომდე შემორჩა ტაბლოს.

**ბ. ქორიძე.**
**”ლელო”, 3 ნოემბერი, 1983 წ.**